

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი

2011 წლის 21 ნოემბერი

**დადგენილება № 84**

**„ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარჩინებულ  
სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების  
შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 11 ოქტომბრის № 10  
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

I. შეტანილ იქნას ცვლილება აკადემიური საბჭოს 2010 წლის 11 ოქტომბრის № 10 დადგენილებით დამტკიცებულ „ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესში“ და დაემატოს მუხლი 9:

**მუხლი 9. ერთჯერადი სტიპენდიის გაცემა**

1. განსაკუთრებულ შემთხვევაში შემოქმედებითი მიღწევისათვის წარმატებულ სტუდენტზე შეიძლება გაიცეს ერთჯერადი შემოქმედებითი სტიპენდია.

2. განსაკუთრებულ შემოქმედებით მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს: სტუდენტის მიერ საერთაშორისო ან/და რესპუბლიკურ ფესტივალებში, კონკურსებსა და კონფერენციებზე მოპოვებული სამეცნიერო/შემოქმედებითი წარმატებები; დადგმული სპექტაკლები, პერსონალური გამოფენები და სოლო კონცერტები, რომელმაც საზოგადოების აღიარება მოიპოვა. თეორიული მიმართულებით მიღწევად ჩაითვალოს პუბლიკაციის დაბეჭდვა ან რესპუბლიკურ/საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილი ნაშრომის საპრიზო ნომინაციით აღნიშვნა.

3. სტიპენდიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას დეპარტამენტის წარდგინებით იღებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები.

II. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

III. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს  
თავმჯდომარე

ე. მესხია